ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4224816

ნომერი: AR1636682

თარიღი : 10.10.2018

გაცემის თარიღი : 23.10.2018

გაცნობის თარიღი : 04.01.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, აწყურის ქუჩა, N 47;

დამკვეთი-განმცხადებელი

- იულია ზაალიშვილი პ/ნ 01001021930
- თბილისი თემქა XI მ/რ III კვ. კორ. 41 ბ. 51

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - ისანი, აწყურის ქ. N 47 – ში, შპს ,,ჰოლანდიური სახლი-ისანი“-ს საკუთრებაში არსებულ ფართის ფასადზე კონდიციონერების მოწყობას. პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ ჩასატარებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის სამუშაოებს. I კლასის სამუშაობი წარმოებს მშენებლობის ნებართვის მიღების გარეშე, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N 57 დადგენილების თანახმად, სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან რეგისტრაციის N 892018864551 - 05/10/2018 წ. საკადასტრო კოდი N 01.17.13.027.060) არსებული ფოტო, ფოტომონტაჟი და საკადასტრო გეგმა საპროექტო ადგილის მონიშვნით) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - ისანი, აწყურის ქ. N 47 – ში, შპს ,,ჰოლანდიური სახლი-ისანი“-ს საკუთრებაში არსებულ ფართის ფასადზე კონდიციონერების მოწყობის შესაძლებლობას.
აქვე გაცნობებთ :

სამონტაჟო სამუშაოები განხორციელდეს უსაფრთხოების ნორმების დაცვით და უზრუნველყოფილი იქნას კონსტრუქციული მდგრადობა.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.